#### **VII. დაავადებებისადმი მდგრადობა:**

თავიანი ხახვი „საშემოდგომო“ გამძლეა დაავადებების მიმართ, საერთოდ არ ავადდება (ჭრაქი, ნაცრი, ჟანგა), არც მავნებელი (ხახვის ბუზი) არ უჩნდება.

#### **VII. ჯიშის გამოცდის განსაკუთრებული პირობები:**

ჯიში „საშემოდგომო“ მოითხოვს ნოყიერ, სტრუქტურიან, კარგად დამუშავებულ ნიადაგს, არის რეაქცია უნდა იყოს ნეიტრალური, ან სუსტი მჟავე. მრავლდება თესლით, თესლის ფერი მუქი შავი, სამწახნაგიანი, დანაოჭებული კანით. 1000 თესლის მასა 3,6 გ. ბოლქვის ფორმირების პერიოდში მოითხოვს დიდი რაოდენობით ტენს.

#### **IX. სხვა ინფორმაცია:**

ჯიში „საშემოდგომო“ გამოიყენება, როგორც საფოხედ (მწვანილად) ადრე გაზაფხულზე, ასევე, ბოლქვად საადრეო მოსავლის სახით. ბოლქვი მკვრივი, ფორმა მომრგვალო-მობრტეო. გარეთა მშრალი ქერქლების ფერი მოყვითალო, შიგნითა წვნიანი ქერქლების ფერი თეთრი, ფოხის სიმაღლე 60 სმ, ფოთლების რაოდენობა - 10 ცალი. ბოლქვის მასა 180,0 გ. საჰექტარო მოსავალი - 39,6 ტ/ჰა-ზე. ყვავილის ფერი თეთრი, ორსქესიანი, ყვავილობს იარუსებად, ამიტომ თესლის მომწიფება სხვადასხვა დროს ხდება.

**X. ბავრცელების ზონა:**

ჯიში „საშემოდგომო“ რეკომენდებულია გასავრცელებლად აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში ზღვის დონიდან 460 მ სიმაღლეზე.

**XII. თესლის დამზადება:**

ხახვი ორწლიანი მცენარეა, თესლის მიღება ხდება ბოლქვიდან მეორე წელს, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში თესლის მიღება შეიძლება იმავე წელს. მოსავლის აღების შემდეგ მიწაში ვტოვებთ ბოლქვებს, ივლისში იწყებს ყვავილობას და სექტემბრის ბოლოს მწიფდება თესლი.



გამოსახულება: 1



გამოსახულება: 2



გამოსახულება: 3

მოწმობის ნომერი:	P 2017 174 B
ბანაცხადის გამომწვევნების ნომერი:	P 2016 194 A
ბანაცხადის ნომერი:	P 2016 194
ბანაცხადის წარდგენის თარიღი:	2016 11 11
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2017 04 25
ბანაცხადის მონაცემების გამომწვევნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია):	2017 01 10 №1
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამომწვევნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია):	2017 04 25 №5

**სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:**  
სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი  
მარშალ გელოვანის გამზ. №6, თბილისი (GE);

ელენე მოთიაშვილი-სიჭინავა  
ყაზბეგის ქ. 21-1, რუსთავი (GE);

ნატო კაკაბაძე  
ვაშლიჯვარი, კვანტალიანის ქ. 52, თბილისი (GE);

გურამ ალექსიძე  
ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. კორპ. 6, ბ. 43, თბილისი (GE);

ვაჟა ჯაფარიძე  
საბურთალოს ქ. 7, ბ. 68, თბილისი (GE);

ზვიად ბრეგაძე  
ფოცხვერაშვილის 14, 0112, თბილისი (GE)

**მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:**

ნიორი Allium sativum L.

**მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: ხანდო**

**მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დასახსიათება:**

ჯიში „ხანდო“ მიღებულია გამორჩევის მეთოდით, საშუალო-საგვიანო, სავეგეტაციო პერიოდი აღმოცენებიდან მოსავლის აღებამდე - 150–155 დღე. ვარგისია როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო დარგვისთვის, მაგრამ უმჯობესია შემოდგომით დარგვა. ჯიში ხასიათდება ძლიერი ცრუ ღეროთი.

ფოჩის სიმაღლეა 68-70 სმ, ფოთლების შეფერილობა მუქი მწვანე, რაოდენობა 10 ცალი. ბოლქვი მკვრივი, ზომა მსხვილი, ფორმის ინდექსი 0,89. გარეთა მშრალი ქერქლის ფერი თეთრი დასველებული, ოდნავ გადადის მკრთალ იისფერში, კბილის მშრალი ქერქლის შეფერვა ღია მოყავისფრო, წვნიანი ქერქლის ფერი თეთრი. კბილები მსხვილი, რაოდენობა 6,6 ცალი, ცხარე, ფორმა მომრგვალო-მობრტეო. ბოლქვის საშუალო მასა 67,7 გ. საკვებარო მოსავალი 12-14 ტ/ჰა-ზე.

ნიურის ოთხფეხა ტკიპას და ხახვის ბუჩის მიმართ შედარებით გამძლეა, ვიდრე ადგილობრივი ჯიშები.



**NUMBER OF CERTIFICATE:** P 2017 174 B  
**NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** P 2016 194 A  
**SERIAL NUMBER OF APPLICATION:** P 2016 194  
**DATE OF FILING OF THE APPLICATION:** 2016 11 11  
**DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:** 2017 04 25  
**DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):** 2017 01 10 №1  
**DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):** 2017 04 25 №5

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

Legal entity under the public law-Scientific-Research Center of Agriculture  
 Marshal Gelovani ave. №6, Tbilisi (GE);

Elene Motiashvili-Sichinava  
 Kazbegi str. №21-1, Rustavi (GE);

Nato Kakabadze  
 Vashlijvari, Kvantaliani str. № 52, Tbilisi (GE);

Guram Aleksidze  
 Panaskerteli-Tsitsishvili str. №6, Tbilisi (GE);

Vajha Japaridze  
 Saburtalo str. №7, Tbilisi (GE);

Zviad Bregadze  
 Pochverashvili str. №14, 0112, Tbilisi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S**

**LANGUAGE AND IN LATIN:** Garlic Allium sativum L.

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE:** KHANDO

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:**

The variety "khando" is received by selection method. Vegetation period from germination to harvest - 150-155 days. Suitable for both autumn and spring planting, but it is better to plant in fall time. Characterized by strong stem. Leaf height is 68-70 cm. Leaves of dark green color, with number 10, Bulb dense, large size. Shape index of 0.89. Dry outer shell color white segmented, slightly pale violet. Cloves outer shells are pale brownish color. Thick cloves with 6 -6 numbers, spicy, form-rounded, bulb average weight 67.7 g. The yield per hectare 12-14 t/ha.

The new variety of Garlic is relatively resistant to diseases than local varieties.



## ჯიშის აღწერილობა

**I. კულტურა:** ნიორი Allium sativum L.  
(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

### II. სელექციონერი:

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი  
მარშალ გელოვანის ქ. №6, თბილისი (GE)

ელენემოთიაშვილი-სიჭინავა  
ყაზბეგის ქ. 21-1, რუსთავი (GE);

ნატო კაკაბაძე  
ვაშლიჯვარი, კვანტალიანის ქ. 52, თბილისი (GE);

გურამ ალექსიძე  
ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. კორპ. 6, ბ. 43, თბილისი (GE);

ვაჟა ჯაფარიძე  
საბურთალოს ქ. 7, ბ. 68, თბილისი (GE);

ზვიად ბრეგაძე  
ფოცხვერაშვილის 14, 0112, თბილისი (GE)

**III. ჯიშის დასახელება:** ხანდო

### IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამომყვანასა და გამრავლებაზე:

ნიორის ახალი ჯიში მიღებულია გამორჩევის მეთოდით. 2014 წელს ახალი ჯიშის სათესლე მასალა სელექციური ნომრით 2 გადმოგვცა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომელიც შემოტანილი იყო უკრაინიდან. ჯიში 2014-16 წლებში (სამი წელი) იცდებოდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის ბაზაზე და რეგიონებში (ამბროლაური, ხაშური, ვალე, თელავი, ახმეტა). ჯიში ირგვება შემოდგომით, დარგვის საუკეთესო ვადა 25-30 ოქტომბერი, (თუ რაიმე მიზეზით ამ პერიოდში აღნიშნულ რეგიონებში ვერ მოხერხდა დარგვა, შეიძლება 20 ნოემბრამდეც, ან თებერვლის დასაწყისში). მოსავლის აღების საუკეთესო ვადა მცხეთის, ხაშურის, თელავის რეგიონებისთვის 20-25 ივნისი, დანარჩენი რეგიონებისთვის ივლისის დასაწყისი. ჯიში კარგად შეეგუა საქართველოს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს, მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლე და მაღალ მოსავლიანია. ჯიშს ჩვენს მიერ მიენიჭა სახელწოდება „ხანდო“.

**V. მსბავსი ჯიშები და მათთან ბანსხვავება:**

ნიორის ახალი ჯიში „ხანდო“ ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით, ხასიათდება საუკეთესო ბიომასით, ფოჩის შეფერვა მუქი მწვანე, მაღალი. ცრუ ღერო ძლიერი. მავნებელ- ხახვის ბუზის მიმართ გამძლე, არის მოყვავილე ფორმა, ყინვაგამძლე.

**VI. დამატებითი ინფორმაცია:**

2014-16 წლებში წილენის ბაზაზე და რეგიონებში იცდებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მოძიებული 24 ადგილობრივი ფორმა და ორი შემოტანილი ჯიში. ბიოლოგიური, სამეურნეო და მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლეობის მიხედვით გამოვარჩიეთ უკრაინიდან შემოტანილი სათესლე მასალიდან ახალი ჯიში „ხანდო.“

ჯიში „ხანდო“-ს სავეგეტაციო პერიოდი, აღმოცენებიდან მოსავლის აღებამდე არის 150-155 დღე. ბოლქვი მკვრივი, ზომა მსხვილი, ფორმის ინდექსი 0,89. გარეთა მშრალი ქერქლის ფერი თეთრი დასველებული, ოდნავ გადადის მკრთალ იისფერში, კბილების ფერი ღია მოყავისფრო, წვნიანი ქერქლის ფერი თეთრი. ნივრის ოთხფეხა ტიპას მიმართ შედარებით გამძლეა, ვიდრე ადგილობრივი ჯიშები.

**VII. დაავადებებისადმი მდგრადობა:**

ნიორი „ხანდო“ გამძლეა დაავადებების: ჭრაქის და ნაცრის მიმართ, ნაკლებ გამძლეა უანგას მიმართ.

**VIII. ჯიშის გამომცდის განსაკუთრებული პირობები:**

ჯიში „ხანდო“ მოითხოვს ნოყიერ, სტრუქტურულად კარგად დამუშავებულ ნიადაგს, არის რეაქცია უნდა იყოს ნეიტრალური, ან სუსტი მჟავე. მრავლდება ვეგეტატიურად კბილებით და საჰაერო ბოლქუნებით, ნიორი ბოლქვის ფორმირების პერიოდში მოითხოვს ტენს, საკმარისია 1-2 მორწყვა. მოსავალი უნდა ავიღოთ თავის დროზე, თუ აღება დავაგვიანეთ ბოლქვი გამოიღებს დამატებით ფესვებს, რაც იწვევს მოსავლის შემცირებას.

**IX. სხვა ინფორმაცია:**

ჯიში „ხანდო“ ადრე გაზაფხულზე შეიძლება გამოვიყენოთ სამწვანოლედაც. იგი მოყვავილე ფორმაა, თუ თავის დროზე (საყვავილე ღეროს თავი იხრება ქვევით) არ მოხდა საყვავილე ღეროს ჩატეხვა, შეიძლება საჰექტარო მოსავლი შემცირდეს 20-30 %-ით. ბოლქვი მკვრივი, ცხარე, ფორმა მომრგვალო-მობრტეო, საშუალო-საგვიანო. ფესვთა სისტემა ძლიერ განვითარებული და მიდის ძალიან ღრმად ნიადაგში, სხვა ჯიშებთან შედარებით. ბოლქვის საშუალო მასა 67,7 გ. საჰექტარო მოსავალი 12-14 ტ/ჰა-ზე.

**X. ბავრცელების ზონა:**

ჯიში „ხანლო“ რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზე და დასავლეთ საქართველოში (აჭარა, ონი, ამბროლაური).

**XI. სათესლე მასალის დამზადება:**

ნიორი მრავლდება ვეგეტატიურად კბილებით ან საჰაერო ბოლქუნებით (მოყვავილე ფორმები), კარგად უნდა გადაირჩეს სათესლე მასალა, უნდა იყოს ტიპიური ფორმები და არ უნდა იყოს მექანიკურად დაზიანებული. დასაწყობება უნდა მოხდეს დეზინფექცირებულ და მზის სხივებისგან დაცულ სათავსოში.



გამოსახულება: 1



გამოსახულება: 2



გამოსახულება: 3



გამოსახულება: 4

მოწმობის ნომერი:	P 2017 175 B
ბანაცხადის გამომწვევნების ნომერი:	P 2016 195 A
ბანაცხადის ნომერი:	P 2016 195
ბანაცხადის წარდგენის თარიღი:	2016 11 11
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2017 04 25
ბანაცხადის მონაცემების გამომწვევნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია):	2017 01 10 №1
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამომწვევნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია):	2017 04 25 №5

**სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:**  
სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი  
მარშალ გელოვანის გამზ. №6, თბილისი (GE);

დიანა ანტონოვა

დუმბაძის ქ. 2, ტყიბული (GE);

დალი წიკლაური

სოფ წილკანი, მცხეთა (GE);

გურამ ალექსიძე

ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. კორპ. 6, ბ. 43, თბილისი (GE);

ნატო კაკაბაძე

ვაშლიჯვარი, კვანტალიანის ქ. 52, თბილისი (GE)

**მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:**

კარტოფილი Solanum tuberosum L.

**მცენარის ახალი ჯიშის დასახელება:** დიკო

**მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დასახსიანობა:**

კარტოფილის ჯიში „დიკო“, ბოტანიკურად ცნობილია, როგორც Solanum tuberosum L. არის საშუალოდ საგვიანო ჯიში, აქვს ყვითელი კანი. ის არის მაღალმოსავლიანი კარტოფილის ჯიში, საშუალოდ 8-9 ტუბერი თითო მცენარეზე. გამოირჩევა საშუალო ტუბერებით (60%) და ტუბერებზე ოდნავ გამოსატული თვლებით, განკუთვნილია სასურსათო წარმოებისთვის. ტუბერის ზომა 80-120 მმ, წონა - 150-220 გ. შიგთავსის მშრალი ნივთიერება 18-19%-ია, აქვს კარგი გემური თვისება და მყარი კონსისტენცია. ტუბერი ოვალურ-წაგრძელებულია, ძირითადად ერთგვაროვანი ფორმის, თხელ კანიანი. საკმაოდ კარგი წინააღმდეგობის უნარი გააჩნია შემდეგი ვირუსული დაავადებების მიმართ: PVX, PVY, PVA, PVS. ასევე, გამძლეა სოკოვანი დაავადება ფიტოფტორას მიმართ. კარტოფილის ჯიში მაღალმოსავლიანია, აქვს ძლიერი ღერო და კარგი დაფარვა, თეთრი ყვავილები და კენკროვანი ნაყოფის საშუალო რაოდენობა. იგი საშუალოდ ტოლერანტულია მექანიკური დაზიანების მიმართ. გვალვაგამძლეა, კარგი ტოლერანტობა ახასიათებს შიდა დეფექტებზე, კარგად ინახება და აქვს მოსვენების მოკლე პერიოდი.



**NUMBER OF CERTIFICATE:** P 2017 175 B  
**NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** P 2016 195 A  
**SERIAL NUMBER OF APPLICATION:** P 2016 195  
**DATE OF FILING OF THE APPLICATION:** 2016 11 11  
**DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:** 2017 04 25  
**DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):** 2017 01 10 №1  
**DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):** 2017 04 25 №5

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

Legal entity under the public law-Scientific-Research Center of Agriculture  
 Marshal Gelovani ave. №6, Tbilisi (GE);

Diana Antonova  
 Dumbadze str. №2, Tkibuli (GE);

Dali Tsiklauri  
 Village Tsilkani, Mtskheta (GE);

Guram Aleksidze  
 Panaskerteli-Tsitsishvili str. №6, Tbilisi (GE);

Nato Kakabadze  
 Vashlijvari. Kvantaliani str. №52, Tbilisi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S**

**LANGUAGE AND IN LATIN:** Potato Solanum tuberosum L.

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE: DIKO**

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:**

Potato variety "Diko", botanically known as Solanum tuberosum L. is characterized with late harvest, has yellow covering, high-yielding potatoes, on average 8-9 tubers per plant. The average tubers (60%) and slightly seen spots; Good for food production. Tubers size of 80-120 mm, weight - 150-220 g. Dry substance content of 18-19% and has a good taste and a solid mass. Tubers are oval longer shaped, mostly homogeneous with thin covering. Distinguishes with fairly good resistance to viruses such as: PVX, PVY, PVA, PVS. Also, resistant to fungal (phitoptora) diseases. This variety develops high stem, good coverage, white flowers and average number of seeds. It is semi tolerant to mechanical damage, is drought resistant, good for storage, have a short rest period.



## ჯიშის აღწერილობა

**I. კულტურა:** კარტოფილი Solanum tuberosum L.  
(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

### II. სელექციონერი:

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი  
მარშალ გელოვანის ქ. №6, თბილისი (GE)

დიანა ანტონოვა

დუმბაძის ქ. 2, ტყიბული (GE);

დადი წიკლაური

სოფ წილკანი, მცხეთა (GE);

გურამ ალექსიძე

ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. კორპ. 6, ბ. 43, თბილისი (GE);

ნატო კაკაბაძე

ვაშლიჯვარი, კვანტალიანის ქ. 52, თბილისი (GE)

**III. ჯიშის დასახელება:** დიკო

### IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, ბამოჟგანისა და ბამრავლებაზე:

კარტოფილის ჯიში „დიკო“ გამორჩეულია კარტოფილის საერთაშორისო ცენტრის (CIP) მიერ მოწოდებული *in vitro* სელექციური მასალიდან. აღნიშნული მასალა, სელექციური ნომრით 398208.82, გამოცადეთ და შევისწავლეთ სხვადასხვა რეგიონებში 6 წლის განმავლობაში. ჩვენს მიერ გამორჩეულ სელექციურ მასალას მიენიჭა სახელწოდება „დიკო“, რომელიც ხასიათდება ადგილობრივ პირობებთან ადაპტაციის მაღალი უნარით, მაღალი მოსავლიანობით ძირითადად მაღალმთიან რეგიონებში (20-22 ტ/ჰ), ხარისხით (მშრალი ნივთიერება - 18-19%), გვალვის და დაავადებების მიმართ გამძლეობით.

### V. მსბავსი ჯიშები და მათთან განსხვავება:

კარტოფილის ჯიში „დიკო“ მაღალმოსავლიანია, აქვს ძლიერი ღერო და კარგი დაფარვა, თეთრი ყვავილები და კენკროვანი ნაყოფის საშუალო რაოდენობა. იგი საშუალოდ ტოლერანტულია მექანიკური დაზიანების მიმართ. გვალვაგამძლეა, კარგი ტოლერანტობით ხასიათდება შიდა დეფექტებზე, შენახვის უნარიანობაზე და ახასიათებს მოსვენების მოკლე პერიოდი.

### VI. დამატებითი ინფორმაცია:

კარტოფილის ჯიში „დიკო“ არის საშუალოდ საგვიანო ჯიში, აქვს ყვითელი კანი, რბილობი თეთრი. ის არის მაღალმოსავლიანი კარტოფილის ჯიში. თითო მცენარეზე ვითარდება საშუალოდ 8-9 ტუბერი. გამოირჩევა ტუბერების საშუალო ზომით (60%). ტუბერის ზომა საშუალოდ 80-120 მმ, წონა - 150-220 გ. განკუთვნილია სასურსათო წარმოებისთვის. ტუბერი ოვალურ-წაგრძელებულია, ძირითადად ერთგვაროვანი

ფორმის, შიგთავსის მშრალი ნივთიერება 18-19%-ია, აქვს კარგი გემური თვისება და მყარი კონსისტენცია.

**VII. დაავადებისადმი მდგრადობა:**

ჯიშს კარგი წინააღმდეგობის უნარი გააჩნია შემდეგი ვირუსული დაავადებების მიმართ - PVX, PVY, PVA, PVS. ასევე, გამძლეა სოკოვანი დაავადება ფიტოფტორას მიმართ.

**VIII. სხვა ინფორმაცია:**

ჯიში „დიკო“ რეკომენდებულია გასაფრცვლებლად სამცხე-ჯავახეთის რეგიონებისთვის, კერძოდ მესხეთისა და ქვემო ქართლის ზონებისათვის.



გამოსახულება: 1



გამოსახულება: 2



გამოსახულება: 3

მოწმობის ნომერი:	P 2017 176 B
ბანაცხადის გამომგვამების ნომერი:	P 2016 196 A
ბანაცხადის ნომერი:	P 2016 196
ბანაცხადის წარდგენის თარიღი:	2016 11 11
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2017 04 25
ბანაცხადის მონაცემების გამომგვამების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია):	2017 01 10 №1
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამომგვამების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია):	2017 04 25 №5

**სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:**

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი  
მარშალ გელოვანის გამზ. №6, თბილისი (GE)

პაშა ვაჩიეშივილი, წილკანი, სოფ. სელექცია, მცხეთა (GE);

ნატო კაკაბაძე, ვაშლიჯვარი, კვანტალიანის ქ. 52, თბილისი (GE);

ლევან ტყემალაძე, დიდი დილომი, 3 მკ/რ, კორ. 29, ბ. 62, თბილისი (GE);

მარიამ მოსაშვილი, დიდი დილომი, გიორგი ბრწყინვალის ქ. 31, თბილისი (GE)

**მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:**

ბრინჯა ლობიო Phaseolus calcaratus

**მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: წილკანი**

**მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დასახსიანობა:**

ჯიში „წილკანი“ გამორჩეულია ბოტანიკის ინსტიტუტის (ვერნიკო კანდელაკის) კოლექციიდან მასობრივი გამორჩევის გზით. მცენარე არის მაღალმოზარდი, მხვი-არა ფორმა, მისი სიმაღლე 2,5 - 3 მეტრია, ფოთლები და ღერო დაფარულია წვრილი მოთეთრო ბუსუსებით. ფოთლები ფართოა გულის ფორმის, ღია მწვანე, მცენარე ხასიათდება ხშირი შეფოთვლით, ინვითარებს მსხვილ მხვიარა ღეროს და დიდ მწვანე მასას. ჯიში „წილკანი“ ტიპური სამარცვლე ფორმაა. კარგ ნიადაგურ-კლი-მატურ პირობებში იძლევა საშუალოდ 2 ტ/ჰა თესლის მოსავალს, საგვიანოა, ყვავი-ლი ყვითელია მსხვილი, ინვითარებს გრძელ საყვავილე ყუნწს (3-5 სმ), რომელზედ-აც 4-10 ყვავილი ზის, საიდანაც ვითარდება ამდენივე პარკი. პარკის სიგრძე 7-10 სმ-ია, პარკებში მარცვლის რაოდენობა 5-7-ია, პარკის კუდის სიგრძე 0,5-0,8 მმ-ია. პარკი განვითარების პირველ პერიოდში მწვანეა, ხოლო მარცვლის სიმწიფის ფა-ზაში მოშავო-მოყავისფრო ფერისაა. პარკი სწორია, მარცვალი წვრილია, მოგრ-ძოა, მუქი წითელი ფერის, თეთრი ამობურცული ჭიპით. 1000 მარცვლის მასა არის 70 გ. ჯიში „წილკანი“ გამძლე ყველა ბაქტერიული და ვირუსული დაავადებების მი-მართ, არ ზიანდება მემარცვლიათი (ბრუსუსით).

ჯიში „წილკანი“ რეკომენდირებულია დაითესოს აღმოსავლეთ საქართველოს სარ-წყავ ზონებში და დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში გარდა მაღალმთიანი ზონებისა, ვინაიდან ის არის საგვიანო ჩვეულებრივ ლობიოსთან შედარებით 20-30 დღით. ჯიშის „წილკანი“ მარცვლის გამოყენება შეიძლება როგორც ჩვეულ-ებრივი ლობიო. მარცვალი სწრაფად ხარშვადია და აქვს კარგი საგემოვნო თვი-სებები. ის როგორც ყველა პარკოსანი აუმჯობესებს ნიადაგის ნაყოფიერებას. მისი გამოყენება შეიძლება როგორც სიდერატი.

<b>NUMBER OF CERTIFICATE:</b>	P 2017 176 B
<b>NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:</b>	P 2016 196A
<b>SERIAL NUMBER OF APPLICATION:</b>	P 2016 196
<b>DATE OF FILING OF THE APPLICATION:</b>	2016 11 11
<b>DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:</b>	2017 04 25
<b>DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):</b>	2017 01 10 №1
<b>DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):</b>	2017 04 25 №5

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

Legal entity under the public law-Scientific-Research Center of Agriculture  
Marshal Gelovani ave. №6, Tbilisi (GE)

Pasha Vacheishvili

Tsilkani, Village Selekcia, Mtskheta (GE);

Nato Kakabadze

Vashlijvari, Kvantaliani str. №52, Tbilisi (GE);

Levan Tkemaladze

Didi dighomi, 3 m/r, house №29, flat 62, Tbilisi (GE);

Mariam Mosashvili

Didi dighomi, Giorgi Brtskinvale str. 31, Tbilisi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S**

**LANGUAGE AND IN LATIN:** Bean Phaseolus calcaratus

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE:** TSILKANI

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:**

"Tsilkani" variety is selected from the (Verniko Kandelaki) collection existing under the Institute of Botany. The plant is growing high and reaches 2,5 - 3 meters, the leaves and stems are covered with a thin whitish bristles. The leaves are broad, heart-shaped, light green, plant is characterized by frequent leafing, has a thick stem and green mass. A variety Tsilkani is typical grain form and gives an average of 2 t/ha yield in a good soil and climat conditions; Late harvested, has large yellow flowers with a long flower stem (3-5 cm) on which there are 4-10 flowers sited from which is developing the same number of cases. Length of cases is 7-10 cm, number of seeds in the cases are 5-7. Tail of the case is 0,5-0,8 mm. Case development in the first period is green, while seed ripening phase is blackish brown color. The case is straight, seeds are narrow, longer, dark red color. 1000 seed weight is 70 g. The variety "Tsilkani" is resistant ot bacterial and viral diseases and is not damaged by the disease called Brukhusi. The variety "Tsilkani" is recommended to sow in East Georgia irrigated areas and in almost all areas of of western Georgia except high mountain areas, because it has late with 20-30 days harvesting period compared to normal beans. Variety "Tsilkani" seeds can be used as a common beans. Seeds are boiled quickly and has good taste qualities. It improves soil fertility, like all legumes. It also can be used as a green manure.





## ჯიშის აღწერილობა

**I. კულტურა:** ბრინჯა ლობიო Phaseolus calcaratus  
(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

### II. სელექციონერი:

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი  
მარშალ გელოვანის გამზ. №6, თბილისი (GE)

პაშა ვახეიშვილი, წილკანი, სოფ. სელექცია, მცხეთა (GE);

ნატო კაკაბაძე, ვაშლიჯვარი, კვანტალიანის ქ. 52, თბილისი (GE);

ლევან ტყემალაძე, დიდი დილომი, 3 მკ/რ, კორ. 29, ბ. 62, თბილისი (GE);

მარიამ მოსაშვილი, დიდი დილომი, გიორგი ბრწყინვალის ქ. 31, თბილისი (GE)

**III. ჯიშის დასახელება:** წილკანი

### IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამომავლისა და გამრავლებაზე:

ბრინჯა ლობიოს ჯიში „წილკანი“ გამორჩეულია ბოტანიკის ინსტიტუტიდან მოპოვებული კოლექციიდან (ვერნიკო კანდელაკი) მასობრივი გამორჩევის გზით. შვეის-წავლეთ და გამოვცადეთ მცხეთის მუნიციპალიტეტის წილკნის ბაზაზე, ჩოხატაურის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში, ჯიში კარგად ერგება როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ასევე დასავლეთ საქართველოს ნიადაგურ კლიმატურ პირობებს.

### V. მსგავსი ჯიშები და მათთან განსხვავება:

მცენარე არის მაღალმთხარდი, მხვიარა, მცენარის სიმაღლე 2,5 - 3 მეტრია ჩვეულებრივ ლობიოსთან შედარებით. საგვიანოა 20-25 დღით. ღერო და ფოთლები დაფარულია წვრილი მოთეთრო ბუსუსებით. ფოთლები ფართოა, ხასიათდება ხშირი შეფოთვლით და ინვითარებს დიდ მწვანე მასას. ამიტომ მისი გამოყენება შესაძლებელია სიდერატადაც. ჯიში „წილკანი“ ტიპური სამარცვლე ფორმაა. კარგ ნიადაგურ -კლიმატურ პირობებში იძლევა საშუალოდ 2 ტონა ჰა-ზე თესლის მოსავალს.

### VI. დამატებითი ინფორმაცია:

პარკის სიგრძე 7-10 სმ-ია, პარკში მარცვლების რაოდენობა 5-7-ია. პარკის კუდის სიგრძე 0,5-0,8 მმ-ია. პარკები ღეროზე მიმაგრებულია გრძელი ყუნწით, რომლის სიგრძე 4-5 სმ-ია. ერთ ყუნწზე ჯგუფურად განლაგებულია 7-10 პარკი. პარკი განვითარების პირველ პერიოდში მწვანეა, ხოლო მარცვლის სიმწიფის ფაზაში მოშავო-მოყავისფრო ფერისაა, პარკი სწორია. მარცვალი მოგრძო მუქი წითელი ფერის, თეთრი ამობურცული ჭიპით.

**VII. დაავადებისადმი მდგრადობა:**

ჯიში „წილკანი“ გამძლეა ფუზარიოზის, ასკოხიტოზის და ვირუსული დაავადებების მიმართ (არანაირი დაავადება არ შენიშნულა) მარცვალი არ ზიანდება მემარცვლიათი (ბრუხუსი).

**VIII. ჯიშის ბამოცდის ბანსაკუთრებული პირობები:**

ჯიშის მოყვანისთვის აუცილებელია მათთვის საყრდენის, ანუ ჭიგოს მიღება. ჯიში წვრილმარცვლიანია, მრავლდება თესლით, 1000 მარცვლის მასა არის 70 გ. თესვა შესაძლებელია მწკრივებში მექანიზირებულად. ამ შემთხვევაში საყრდენად შესაძლებელია პოლიმერული ბადის გამოყენება. ბუნდაში თესვის შემთხვევაში უნდა დაითესოს 3-4 თესლი და საყრდენად გამოვიყენოთ ხის ჭიგოები.

**IX. სხვა ინფორმაცია:**

მცენარე მხვიარაა, ღერო მსხვილია ბუსუსიანი, ფოთლები განიერია, გულისებური ფორმის ყვავილები მსხვილია ყავითელი ფერის, ერთ საყვავილე ყუნწზე 4-10 ყვავილი ზის. მარცვალი იხარშება სწრაფად ხარშვის დრო ნახევარი საათი. აქვს კარგი საგემოვნო თვისებები. მარცვლის მოსავლის აღების დრო ძირითადად არის სექტემბერი.

**X. გავრცელების ზონა:**

ბრინჯა ლობიო ჯიში „წილკანი“ რეკომენდებულია გასავრცელებლად აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ ზონაში და დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში (ტენით უზრუნველყოფილ რეგიონებში).

**XI. თესლის დამზადება:**

ბრინჯა ლობიოს ჯიში „წილკანი“ -ს თესლის დასამზადებლად საჭიროა შევარჩიოთ ჯიშის დამახასიათებელი ფორმის და შეფერილობის მცენარე, რომელზედაც შეირჩევა კარგად განვითარებული პარკები მცენარის შუა იარუსიდან, პარკის და მარცვლის სრული სიმწიფის ფაზაში, როდესაც მარცვალი გამაგრდება და მიიღებს ჯიშის დამახასიათებელ ფერს.

ხმელი პარკების კრეფა უმჯობესია დილის საათებში, ვინაიდან მომწიფებული პარკები გაფიცებისას სწრაფად იხსნება და შესაძლებელია თესლის დაბნევა.

ჯიში „წილკანი“-ს მარცვალი შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც ჩვეულებრივი ლობიოს მარცვალი სხვადასხვა ნაციონალური კერძების საღაათებში და სხვა სახით. მწვანე მცენარე გამოიყენება სიდერატად. მას ახასიათებს ძლიერი ფესვთა სისტემის განვითარება, რომელზედაც სახლდება კოჟრის ბაქტერიები და მათი მეშვეობით ის ნიადაგს ტოვებს აზოტოვანი შენაერთებით გამდიდრებულს, ამ თვისების გამო ის შესანიშნავი წინამორბედი ყველა კულტურისთვის გარდა პარკოსნებისა.



გამოსახულება: 1



გამოსახულება: 2

მოწმობის ნომერი:	P 2017 177 B
ბანაცხადის გამომგვამების ნომერი:	P 2016 197 A
ბანაცხადის ნომერი:	P 2016 197
ბანაცხადის წარდგენის თარიღი:	2016 11 11
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2017 04 25
ბანაცხადის მონაცემების გამომგვამების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია):	2017 01 10 №1
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამომგვამების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია):	2017 04 25 №5

**სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:**

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მარშალ გელოვანის გამზ. №6, თბილისი (GE)

ნატო კაკაბაძე, ვაშლიჯვარი, კვანტალიანის ქ. 52, თბილისი (GE);

რაგზა მავლიანოვა, ტაშკენტი, რეგიონალური ოფისი A.H. 4375, უზბეკეთი (UZ);

ადოლი ტყეშელაშვილი, წეროვანი, მცხეთა (GE);

პაშა ვახეიშვილი, წილკანი, სოფ. სელექცია, მცხეთა (GE);

შოთა ხონელიძე, ვაშლიჯვარი, კვანტალიანის ქ. 52, თბილისი (GE)

**მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:**

ბრინჯა ლობიო Phaseolus calcaratus

**მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: მოსავლიანი**

**მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:**

ჯიში „მოსავლიანი“ სელექციური ნომრით G 6173(B-6) მიეკუთვნება ლობიოს გვარს. ამიტომ მას ოქროს ლობიოდ მოიხსენიებენ. იგი მიღებულია 2010 წელს ტაივანიდან, მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან.

ჯიში „მოსავლიანი“ მრავლდება თესლით. თესლის ფორმა კასრისებურია, ჭიპი თესლის საერთო სიბრტყეზე მდებარეობს. თესლი წვრილი, მუქი მწვანე შეფერვისაა. 1000 ცალი თესლის წონა შეადგენს 65 გრამს. ნაყოფის სიგრძე შეადგენს 5-10 სმ. პარკში თესლის რაოდენობაა 7-10 ცალი. თესლის სიგრძე 3,2-6 მმ-ია.

მცენარის სიმაღლეა 67 სმ. დერო სწორმდგომია, წახნაგოვანი, დაფარულია ქვემოთ მიმართული წამწამისებრი ბეწვებით. ჯიშის „მოსავლიანი“ ბუჩქზე სათესლედ ირჩევა 30-35- მდე სტანდარტული პარკი, საიდანაც თესლს ვიღებთ ნაყოფის სრული სიმწიფის მიღწევისას და ჯიშისთვის დამახასიათებელი ფერის მიღებისას. კალორიულობით 3,2-ჯერ აღემატება კარტოფილს და 5-ჯერ სიმინდს. მწვანე ფაზაში პარკები გამოიყენება სუპებში, სალათებში, გარნირად, დასაკონსერვებლად. მოსავლის აღების შემდეგ ვეგეტატიური მასა, დერო, ფოთლები, უმწიფარი პარკები, საუკეთესო საკვებია ცხოველებისათვის, მატულობს წველადობა. პარკების კალორიულობაა 100 გ - 50,4 კკალ. პარკებში არის ნახშირწყალი 7,5 გ, ცხიმი 0,1 გ, ცილა 5 გ, ორგანული მუავიანობა 0,5 გ, წყალი 73 გ, სახამებელი 4 გ, მონო და დისახარიდები 1,2 გ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარცვალი ცილების და ამინომჟავების შემცველობით - ლიზინი 8%, არგინინი 6%.

**NUMBER OF CERTIFICATE:** P 2017 177 B  
**NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** P 2016 197A  
**SERIAL NUMBER OF APPLICATION:** P 2016 197  
**DATE OF FILING OF THE APPLICATION:** 2016 11 11  
**DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:** 2017 04 25  
**DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):** 2017 01 10 №1  
**DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):** 2017 04 25 №5

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

LEPL Scientific Research Center of Agriculture  
 Marshal Gelovani ave. №6, Tbilisi (GE);

Nato Kakabadze

Vashlijvari, Kvantaliani Str. №52, Tbilisi (GE);

Ravza Mavlyanova

Tashkent, Regional office, A.H. 4375, Uzbekistan (UZ);

Adoli Tkeshelashvili

Tserovani, Mtskheta (GE);

Pasha Vacheishvili

Tsilkani, village Seleqcia, Mtskheta (GE);

Shota Khonelidze

Vashlijvari, Kvantaliani Str. №52, Tbilisi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S**

**LANGUAGE AND IN LATIN:** Masha beans Phaseolus calcaratus

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE:** MOSAVLIANI

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:**

Variety „Mosavliani” with selective number VG 6173(B-6) belongs to the bean genus, so its called as golden beans. It was received from the Vegetables World Center, Taiwan in 2010. It reproduces from seeds. Barrel seed shape of the seed is thin and elongated, with dark green color. Weight of the 1000 seeds - 65 grams. Length of the fruit or the bean is 5-10 cm, number of seeds in the bean 7-10, length of the seed - 3,2-6 mm.

Height of the plant - 67 cm. Straight stem, faceted, covered with down toward fur. On the bush of the variety “Mosavliani” is chosen up to 30-35 standard beans, from which we get the seed of the fruit reaches full maturity and variety-specific color-making. With calories 3.5 times more than potatoes and 6 times than corn. In the green phase beans are used in soups, salads, garnish, can. vegetative mass After harvesting : stem, leaves, unripened beans are best fodder for animals, increasing milk yield. Calorie of beans: 100 g - 56.8 kcal. 8.5 g carbohydrate is in the bean, fat - 0.1 g, protein - 6 g, organic acidity - 0.7 g, water - 83 g, starch - 6 g, mono and disaccharides - 1.6 g. The grain is especially noteworthy of containing -proteins and aminoacids, Lysine 8%, Arginini 6%.



## ჯიშის აღწერილობა

**I. კულტურა:** მაშა ლობიო Phaseolus  
(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

### II. სელექციონერი:

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი  
მარშალ გელოვანის გამზ. №6, თბილისი (GE)

ნატო კაკაბაძე

ვაშლიჯვარი, კვანტალიანის ქ. 52, თბილისი (GE);

რავზა მავლიანოვა

ტაშკენტი, რეგიონალური ოფისი A.H. 4375, უზბეკეთი (UZ);

ადოლი ტყეშელაშვილი

წეროვანი, მცხეთა (GE);

პაშა ვაჩიშვილი

წილკანი, სოფ. სელექცია, მცხეთა (GE);

შოთა ხონელიძე

ვაშლიჯვარი, კვანტალიანის ქ. 52, თბილისი (GE)

**III. ჯიშის დასახელება:** მოსავლიანი

### IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანისა და გამრავლებაზე:

მაშა ლობიოს ჯიში „მოსავლიანი“, სელექციური ნომრით VG 6173 (B-6), მიღებულია 2010 წელს ტაივანიდან, მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან. მისი გამოცდა მიმდინარეობდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში. ჯიში კარგად შეეგუა საქართველოს კლიმატურ პირობებს. ის მავნებელ-დაავადებებისადმი გამძლე, მოსავლიანი ჯიშია.

### V. მსბაჟის ჯიშები და მათგან განსხვავება:

დაბალმოხარდ ლობიოსთან შედარებით ზემოთ აღნიშნული ჯიში VG 6173 (B-6) ხასიათდებოდა საშუალო ზომის ბუჩქით, საშუალო ყუნწიანი პარკებით. პარკები ძირითადად ქვევით და იშვიათად ჰორიზონტალურად არის მიმართული. მცენარე მეტ სითბოს და წყალს ითხოვს, ვიდრე ჩვეულებრივი ლობიო. ძალიან გამძლეა ქარისმიერი გვალვისადმი.

### VI. დამატებითი ინფორმაცია:

ნაყოფი ანუ პარკი 5-10 სმ სიგრძისაა, თითქმის სწორი, მრგვალ-ცილინდრული, ნაყოფის ფერი იცვლება შემოსვლის მიხედვით. სინორჩეში არის მწვანე, სათესლე სიმწიფის დროს პარკი მუქი მიხაკისფერია. პარკი შიგნიდანაც მიხაკისფერია. პარკის ფორმა ყუნწის მიმაგრების ადგილას არის მახვილი, ხოლო დაბოლოებისკენ ოდნავ დახრილი, წვეტის გარეშე. თესლი პარკში 7-10 ცალია. თესლის სიგრძე 3,2-6 მმ-ია.

**VII. დაავადებებისადმი მდგრადობა:**

„მოსავლიანი“ გამძლეა დაავადებების (ფუზარიოზული ჭკნობა) და მავნებლების (ბრუხუსი ანუ მემარცვლია) მიმართ.

**VIII. ჯიშის ბამოცდის ბანსახშოტრებული პირობები:**

ჯიში „მოსავლიანი“ მრავლდება თესლით. თესლის ფორმა კასრისებურია და ჭიპი თესლის საერთო სიბრტყეზე მდებარეობს. თესლი წვრილი, მუქი მწვანე შეფერვისაა. 1000 ცალი თესლის წონა შეადგენს 65 გრამს.

**IX. სხვა ინფორმაცია:**

მცენარის სიმაღლე 67 სმ. ღერო სწორმდგომია, წახნაგოვანი, დაფარულია ქვემოთკენ მიმართული წამწამისებრი ბეწვებით. ფოთოლთანები ბუსუსიანია, განიერ-ლანცეტა. ნამდვილი ფოთოლი მეტად ხშირი შებუსვისაა, სამწახნაგიანი, ბუსუსები მიტკეცილია ღეროზე და ფოთლებზე.

**X. გავრცელების ზონა:**

ჯიში „მოსავლიანი“ რეკომენდირებულია გასავრცელებლად როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს რეგიონებში. კერძოდ: გარდაბანი, ბოლნისი, მცხეთა, გორი, წყალტუბო, ქუთაისი, ზუგდიდი.

**XI. თესლის დამზადება:**

ჯიშის „მოსავლიანი“ ბუჩქზე ირჩევა სათესლედ 30-35-მდე სტანდარტული პარკები, საიდანაც თესლს ვიღებთ ნაყოფის სრული სიმწიფის მიღწევისას და ჯიშისათვის დამახასიათებელი ფერის მიღებისას.

კალორიულობით 3,2-ჯერ აღემატება კარტოფილს და 5-ჯერ სიმინდს. მწვანე ფაზაში პარკები გამოიყენება სუპებში, საღათებში, გარნირად, დასაკონსერვებლად. მოსავლის აღების შემდეგ ვეგეტატიური მასა: ღერო, ფოთლები, მოუმწიფარი პარკები - საუკეთესო საკვებია ცხოველებისათვის, მატულობს წველადობა. პარკების კალორიულობა: 100გ-50,4კკალ. პარკებში არის ნახშირწყალი 7,5 გ, ცხიმი 0,1 გ, ცილა 5 გ, ორგანული მუავიანობა 0,5 გ, წყალი 73 გ, სახამებელი 4გ, მონო და დი-სახარიდები 1,2 გ. მარცვალი ცილების და განსაკუთრებით ამინომჟავების, ლიზინი 8%, არგინინი 6%, შემცველობით საყურადღებოა.





გამოსახულება: 1



გამოსახულება: 2



გამოსახულება: 3



გამოსახულება: 4

მოწმობის ნომერი:	P 2017 178 B
ბანაცხადის გამომწვევნების ნომერი:	P 2016 198 A
ბანაცხადის ნომერი:	P 2016 198
ბანაცხადის წარდგენის თარიღი:	2016 11 11
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2017 04 25
ბანაცხადის მონაცემების გამომწვევნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია):	2017 01 10 №1
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამომწვევნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია):	2017 04 25 №5

**სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:**

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მარშალ გელოვანის გამზ. №6, თბილისი (GE);

ნატო კაკაბაძე

ვაშლიჯვარი, კვანტალიანის ქ. 52, თბილისი (GE);

რავზა მავლიანოვა

ტაშკენტი, რეგიონალური ოფისი, A.H. 4375, უზბეკეთი (UZ);

ვაჟა ჯაფარიძე

საბურთალოს ქ. 7, ბ. 68, თბილისი (GE);

ადოლი ტყეშელაშვილი

წეროვანი, მცხეთა (GE)

ლერი ნოზაძე

ვაჟა-ფშაველას გამზ. 59, II კვ., მე-18 კორპ., ბ. 72, თბილისი (GE)

**მცენარის ჯიშის ბგარი და სახეობა ძართულად და ლათინურად:**

მაშა ლობიო PHAUREUS

**მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: საპარკე**

**მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:**

ჯიში „საპარკე“ სელექციური ნომრით VG 3960-88 მიეკუთვნება ლობიოს გვარს, ამიტომ მას მოიხსენიებენ, როგორც ოქროსფერ ლობიოს. 2010 წელს მიღებულია ტაივანიდან, მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან. ის მრავლდება თესლით. თესლის ფორმა მოგრძო და წვრილია, მუქი მწვანე შეფერილობის. 1000 ცალი თესლის წონა შეადგენს 60 გრამს. ნაყოფი ანუ პარკი 6-8 სმ სიგრძისაა, თესლი პარკში 10-12-ცალია. თესლის სიგრძე 3-4 მმ-ია. მცენარის სიმაღლეა 70 სმ. ღერო სწორმდგომია, წახნაგოვანი, დაფარულია ქვემოთკენ მიმართული წამწამისებრი ბეწვებით. ჯიშის „საპარკე“ ბუჩქზე ირჩევა სათესლედ 35-40-მდე სტანდარტული პარკები, საიდანაც თესლს ვიდებთ ნაყოფის სრული სიმწიფის მიღწევისას და ჯიშისთვის დამახასიათებელი ფერის მიღებისას. კალორიულობით 3-ჯერ აღემატება კარტოფილს და 4-ჯერ სიმინდს. მწვანე ფაზაში პარკები გამოიყენება სუპებში, სალათებში, გარნირად, დასაკონსერვებლად. მოსავლის აღების შემდეგ ვეგეტატიური მასა, ღერო, ფოთლები, მოუმწიფარი პარკები, საუკეთესო საკვებია ცხოველებისთვის, მატყულობს წველადობა. პარკების კალორიულობაა 100 გ - 48 კკალ. პარკებში არის ნახშირწყალი 5,5 გ, ცხიმი 0,1 გ, ცილა 6 გ, ორგანული მუავიანობა 0,4 გ, წყალი 63 გ, სახამებელი 7 გ, მონო და დისახარიდები 1 გ. მარცვალი ცილების და განსაკუთრებით ამინომჟავების, ლიზინი 8%, არგანინი 7%, შემცველობით საყურადღებოა.

**NUMBER OF CERTIFICATE:** P 2017 178 B  
**NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** P 2016 198A  
**SERIAL NUMBER OF APPLICATION:** P 2016 198  
**DATE OF FILING OF THE APPLICATION:** 2016 11 11  
**DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:** 2017 04 25  
**DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):** 2017 01 10 №1  
**DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):** 2017 04 25 №5

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

LEPL Scientific Research Center of Agriculture  
Marshal Gelovani ave. №6, Tbilisi (GE);

Nato Kakabadze  
Vashlijvari, Kvantaliani str. 52, Tbilisi (GE);

Ravza Mavlyanova  
Tashkent, Regional office, A.H. 4375, Uzbekistan (UZ);

Vaja Jafaridze  
Saburtalo str. 7, b. 68, Tbilisi (GE);

Adoli Tkeshelashvili  
Mtskheta, Tserovani (GE);

Leri Nozadze  
Vaja-Pshavela str. 59, kv. 2, korp. 18, b. 72, Tbilisi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S**

**LANGUAGE AND IN LATIN:** Masha beans PH AUREUS

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE:** SAPARKE

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:**

Variety „Saparke” with selective number VG 3960-88 belongs to the bean genus, so its called as golden beans. It was received from the Vegetables World Center, Taiwan in 2010. It reproduces from seeds. Barrel seed shape of the seed is thin and elongated, with dark green color. Weight of the 1000 seeds - 60 grams. Length of the fruit or the bean is 6-8 cm, number of seeds in the bean 10-12, length of the seed – 3-4 mm.

Height of the plant - 70 cm. Straight stem, faceted, covered with down toward fur. On the bush of the variety “Saparke” is chosen up to 35-40 standard beans, from which we get the seed of the fruit reaches full maturity and variety-specific color-making. With calories 3 times more than potatoes and 4 times than corn. In the green phase beans are used in soups, salads, garnish, can. vegetative mass After harvesting : stem, leaves, unripened beans are best fodder for animals, increasing milk yield. Calorie of beans: 100 g - 48 kcal. 5.5 g carbohydrate is in the bean, fat - 0.1 g, protein-6 g, organic acidity - 0.4 g, water - 63 g, starch - 7 g, mono and disaccharides - 1 g. The grain is especially noteworthy of containing - proteins and aminoacids, Lysine 8%, arganini 7%.



## ჯიშის აღწერილობა

**I. კულტურა:** მაშა ლობიო Phaseolus  
(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

### II. სელექციონერი:

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი  
მარშალ გელოვანის გამზ. №6, თბილისი (GE);

ნატო კაკაბაძე  
ვაშლიჯვარი, კვანტალიანის ქ. 52, თბილისი (GE);

რავზა მავლიანოვა  
ტაშკენტი, რეგიონალური ოფისი, A.H. 4375, უზბეკეთი (UZ);

ვაჟა ჯაფარიძე  
საბურთალოს ქ. 7, ბ. 68, თბილისი (GE);

ადოლი ტყეშელაშვილი  
წეროვანი, მცხეთა (GE)

ლერი ნოზაძე  
ვაჟა-ფშაველას გამზ. 59, II კვ., მე-18 კორპ., ბ. 72, თბილისი (GE)

**III. ჯიშის დასახელება:** საპარკე

### IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანისა და გამრავლებაზე:

მაშა ლობიოს ჯიში „საპარკე“, სელექციური ნომრით VG 3960-88, მიღებულია 2010 წელს ტაივანიდან, მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან. მისი გამოცდა მიმდინარეობდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში. ჯიში კარგად შეეგუა საქართველოს კლიმატურ პირობებს. ის მავნებელ-დაავადებებისადმი გამძლე, მოსავლიანი, საპარკე ჯიშია.

### V. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავება:

დაბალმოზარდ ლობიოსთან შედარებით ზემოთ აღნიშნული ჯიში VG 3960-88 ხასიათდებოდა კომპაქტური ბუჩქით, საშუალო ყუნწიანი პარკებით. პარკები ძირითადად ქვევით და იშვიათად ჰორიზონტალურად არის მიმართული. მცენარე მეტ სითბოს და წყალს ითხოვს, ვიდრე ჩვეულებრივი ლობიო. ძალიან გამძლეა ქარისმიერი გვალვისადმი.

### VI. დამატებითი ინფორმაცია:

ნაყოფი ანუ პარკი 6-8 სმ სიგრძისაა, თითქმის სწორი, მრგვალ-ცილინდრული, ნაყოფის ფერი იცვლება შემოსვლის მიხედვით. სინორჩეში არის მწვანე, სათესლე სიმწიფის დროს პარკი ღია მიხაკისფერია. პარკი შიგნიდანაც მიხაკისფერია. პარკის ფორმა ყუნწის მიმაგრების ადგილას არის მახვილი, ხოლო დაბოლოებისკენ ოდნავ დახრილი, წვეტიანი. თესლი პარკში 10- 12 ცალია. თესლის სიგრძე 3-4 მმ-ია.

**VII. დაავადებებისადმი მდგრადობა:**

ჯიში „საპარკე“ გამძლეა დაავადებების (ფუზარიოზული ჭკნობა) და მანებლების (ბრუსუსი ანუ მემარცვლია) მიმართ.

**VIII. ჯიშის ბამოცდის ბანსაკუთრებული პირობები:**

ჯიში „საპარკე“ მრავლდება თესლით. თესლის ფორმა კასრისებურია და ჭიპი თესლის საერთო სიბრტყეზე მდებარეობს. თესლი წვრილი, მუქი მწვანე შეფერვისაა. 1000 ცალი თესლის წონა შეადგენს 60 გრამს.

**IX. სხვა ინფორმაცია:**

მცენარის სიმაღლე 70 სმ. ღერო სწორმდგომია, წახნაგოვანი, დაფარულია ქვემოთკენ მიმართული წამწამისებრი ბეწვებით. ფოთოლთანები ბუსუსიანია, განიერლანცეტა. ნამდვილი ფოთოლი მეტად ხშირი შებუსუსისაა, სამწახნაგიანი, ბუსუსები მიტკეცილია ღეროზე და ფოთლებზე.

**X. გავრცელების ზონა:**

ჯიში „საპარკე“ რეკომენდირებულია გასავრცელებლად როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს რეგიონებში. კერძოდ: გარდაბანი, ბოლნისი, მცხეთა, გორი, წყალტუბო, ქუთაისი, ზუგდიდი.

**XI. თესლის დამზადება:**

ჯიში „საპარკე“-ს ბუჩქზე ირჩევა სათესლედ 35-40-მდე სტანდარტული პარკები, საიდანაც თესლს ვიღებთ ნაყოფის სრული სიმწიფის მიღწევისას და ჯიშისათვის დამახასიათებელი ფერის მიღებისას.

კალორიულობით 3-ჯერ აღემატება კარტოფილს და 4-ჯერ სიმინდს. მწვანე ფაზაში პარკები გამოიყენება სუპებში, სალათებში, გარნირად, დასაკონსერვებლად. მოსავლის აღების შემდეგ ვეგეტატიური მასა: ღერო, ფოთლები, მოუმწიფარი პარკები - საუკეთესო საკვებია ცხოველებისათვის, მატულობს წველადობა. პარკების კალორიულობა: 100 გ-48კკალ. პარკებში არის ნახშირწყალი 5,5 გ, ცხიმი 0,1 გ, ცილა 6 გ, ორგანული მჟავიანობა 0,4 გ, წყალი 63 გ, სახამებელი 7გ, მონო და დისახარიდები 1 გ. მარცვალი ცილების და განსაკუთრებით ამინომჟავების, ლიზინი 8%, არგინინი 7%, შემცველობით საყურადღებოა.



გამოსახულება: 1



გამოსახულება: 2





გამოსახულება: 3



გამოსახულება: 4

მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის

ოფიციალური ბიულეტენი

OFFICIAL BULLETIN FOR PROTECTION OF NEW PLANT VARIETIES AND  
ANIMAL BREEDS

№ 5(45)

ბიულეტენის ელექტრონული ვერსიის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ვებგვერდზე.

The review of the published E-version of the bulletin is possible at the Georgian ip national center “Sakpatenti” website.

შენიშვნა

NOTICE

ბიულეტენში გამოქვეყნებული ობიექტების ზუსტი გამოსახულებები იხილეთ საქპატენტის ვებგვერდზე განთავსებულ ელექტრონულ ვერსიაში.

The exact images of the published objects can be viewed in the E-version of Sakpatenti website.

პასუხისმგებელი გამომცემი: RESPONSIBLE ON PUBLICATION:	ნ. ფანცხავა N. Pantskhava
მთავარი რედაქტორი: EDITOR-IN-CHIEF:	ნ. ბებრიშვილი N. Bebrishvili
დამამზადებელი: MAKER-UP:	ქ. სვანიძე K. Svanidze
პოლიგრაფიული ჯგუფი: POLYGRAPHIC GROUP:	მ. მეჩითიშვილი M. Mechitishvili ი. გოგოლაშვილი I. Gogolashvili ლ. დოლიძე L. Dolidze

ხელმოწერილია გამოსაცემად: 2017 04 24  
Signed for Publication on:

ტირაჟი: 15  
Print Run:

შეკვეთა №5  
Order